დებულება

ასოციაციაში საავტორო უფლებების განვითარების სპეციალური ფონდის
შექმნისა და საქმიანობის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1.1. საავტორო უფლებების განვითარების სპეციალური ფონდის (შემდგომში „ფონდი“) შექმნისა და საქმიანობის შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია ა(ა)იპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის“ (შემდგომში „ასოციაცია“) წესდებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) საფუძველზე.

1.2. დებულების ნორმები არეგულირებენ ფონდის შექმნის, მასში მატერიალური აქტივების აკუმულირებისა და განკარგვის წესებს.

მუხლი 2. ფონდის შექმნა და საქმიანობა

2.1. ფონდი იქმნება ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით.

2.2. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

2.2.1. საავტორო უფლებების სფეროს განვითარებისთვის საჭირო სოციალურ-კულტურული, საგანმანათლებლო და მეცნიერული პროექტების მატერიალური უზრუნველყოფა;

2.2.2. საავტორო უფლებების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა;

2.2.3. საავტორო უფლებების სფეროს სრულყოფისათვის საჭირო სხვა საქმიანობის დაფინანსება.

თავი II
ფონდში შემავალი მატერიალური აქტივების კატეგორიები და ფორმირების წესი

მუხლი 3. მატერიალური აქტივების კატეგორიები

3.1 ფონდში აკუმულირდება შემდეგი კატეგორიის მატერიალური აქტივები:

3.1.1. თანხები გაუნაწილებელი ჰონორარიდან, საერთო კრებაზე დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.2. ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარი, რომელიც უცხოეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების თანახმად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფონდის საქმიანობის მიზნებისათვის;

3.1.3. მესამე პირების მიერ ასოციაციაში განხორციელებული შემოწირულობები და სხვა ნებაყოფლობითი შენატანები.

მუხლი 4. მატერიალური აქტივების ფორმირება

4.1. ფონდში მატერიალური აქტივების ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

4.1.1. ამ დებულების 3.1.1. მუხლით განსაზღვრული, გაუნაწილებელი ჰონორარი, ასოციაციის წესდების შესაბამისად და საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია გადატანილ იქნას ფონდში, რომელიც განაწილებული/მოთხოვნილი არ იქნა სამი წლის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება იმ ფინანსური წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს ჰონორარი შეგროვდა.

4.1.2. უცხოეთის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის კუთვნილი ჰონორარი ფონდში აკუმულირდება ასეთ ორგანიზაციასთან არსებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ პროპორციით, რაც მითითებულია ასეთ ხელშეკრულებაში, ხოლო ხელშეკრულებაში პროპორციის არარსებობის დროს, ასეთი პროპორცია დგინდება ასოციაციის საერთო კრების მიერ, ამ ჰონორარის განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

4.1.3. ამ მუხლის მიზნებისთვის მესამე პირად ითვლება ნებისმიერი, მათ შორის უცხო ქვეყნის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც ნებაყოფლობით ახორციელებს შენატანს ასოციაციაში, შენატანის განხორციელების საფუძვლის და მიზნის მიუხედავად.

4.2. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივები ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ ინახება სპეციალურ ბუღალტრულ ანგარიშზე.

4.3. ამ დებულებით განსაზღვრული წესის კატეგორიების გარდა, ასოციაციის საერთო კრების მიერ, კანონის, წესდების და საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, შესაძლებელია განისაზღვროს ფონდში მატერიალური აქტივების აკუმულირების სხვა წესიც.

თავი III
ფონდში შემავალი მატერიალური აქტივების განკარგვის წესი
მუხლი 5. მატერიალური აქტივების განკარგვა

5.1. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივების განკარგვა ხორციელდება ამ დებულებით განსახღვრული მიზნების შესაბამისად.

5.2. ფონდში აკუმულირებული მატერიალური აქტივების განკარგვის ფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის საერთო კრება დამსწრე და ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობით, რომელიც განსაზღვრავს მისი განკარგვის მიზნობრიობას, პერიოდულობას და ოდენობას, ყოველ საერთო კრებაზე.

5.3. მიღებული გადაწყვეტილება აისახება საერთო კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.

5.4. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფონდში აკუმულირებული თანხის სათანადო მიზნობრიობით განკარგვას ახორციელებს ასოციაციის გამგეობა.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. დებულება ძალაში შედის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

6.2. დებულება, მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებსაიტზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის წევრებისთვის.

6.3. ფონდის ფუნქციონირების დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის საერთო კრების მიერ, წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4. ფონდში ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და ასოციაციის გამგეობის/თავმჯდომარის მიერ ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს ასოციაციის ვებსაიტზე.

6.5. ასოციაციის გამგეობა/თავმჯდომარე ვალდებულია კანონით დადგენილი გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის შესაბამისი კრიტერიუმები გაავრცელოს მოცემული დებულებით შექმნილ ფონდზეც.

6.6. დებულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა, ასევე მისი გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, რაც გამოიყენება დებულების მიღების დროს.

დამტკიცებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ.